

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი თეთრაძე

აგრობიზნესის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის
აქტუალური პრობლემები საქართველოში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება, შიფრი 02

თბილისი

2017 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიის ფაკულტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

სტუ-ს პროფესორი

/პ. კოლუაშვილი/

რეცენზენტები:

.....

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის ” 25 ” აპრილს, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიის
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი 6,
აუდიტორია ____

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ავტორეფერატისა – სტუ-ს ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

სტუ-ს პროფესორი

/ლ. კოჭლამაზაშვილი/

Abstract

Introduction. Agriculture is an important sector for each country. Growing population tendency (according to recent data it's greater than 7 billion) pays more actual attention to this sector and its importance. Today food security is the major task both for developed and developing countries.

Georgia long since is famous as an agrarian country. Respectively, agribusiness is more important and at the same time, strategic sector for our country. In the 90th the country has endured a drastic degradation in the mentioned sphere. Civil and Patriotic War remained the trace from the social and economic point of view. Despite a number of reforms carried-out in agriculture over the past years, still there are a lot that needs to be resolved and settled. The transition to the mainstream economy caused certain problems at the beginning. Today, against the backdrop of number of problems, agribusiness anyway remains a major branch in the country. There are a number of issues starting with land parcelling, finishing with the problems of realization. For the last one an important role plays, of course, the geopolitical location of the country. After the war in August 2008, the investment environment became unstable, which unambiguously reduced the interest in this sector, but despite this, mainly the population of the country must will to invest. When the population is strong from the standpoint of investments, the country doesn't seek for investors in other states. Herein we want to touch question of the land transfer to foreigners. While searching investments the state lost value and the price of own lands and water. It's inadmissible to transfer own farmlands to foreign citizens. For us this action is equivalent to betrayal of the homeland, despite the fact that it is justified to some extent from the point of view of macroeconomics. For such a small country as ours it is quite a sensitive task.

The following dissertation is devoted to the methods of elimination of the problems existing in agribusiness and questions of its development in Georgia.

Chapter One. "Place and role of agribusiness in unite system of national economy", showing the importance of the sector in the country's economy is shown. On the example of Germany were investigated the ways and stages of development of agribusiness after World War II. The agricultural share in GDP is retrieved on the example of developed countries. For example, according the latest data, agribusiness in Germany holds 1.2% of GDP, but agribusiness still is a top priority of the country. A large number of subsidies are directed to it, taken all kinds of regulations for its protection and promotion. Given chapter explains the role of agribusiness integration country's economy, also related previous and following cycle of processing industry. Its importance in terms of the industrial point of view. Agribusiness development leads promotion of processing enterprises in terms of free competition to receive and increase the realization of raw materials in agro-technical industry. Agriculture always needs modern technologies. All of the above- mentioned overall leads the country's social and economic sustainability.

Chapter Two. "Agribusiness problems and ways of their settlement". At present from the whole range of tasks the following are shown; A) the problem of land

parcelling; B) optimization of land use; C) agriculture Insurance d agro) agricultural crediting;

The problem of land parcelling reviews the issue of land redistribution in 90-ies, which formed many land-poor farming. Mentioned farms industries represented such type of households, which were oriented not on the market but existence. Their quest was not oriented on productivity. They had neither resources nor desire for it. Land use optimization is the purely prerogative of the state. This chapter provides an overview of land use optimization on the example of developed countries. How productivity is controlled and what kind of quotes and regulations exist thereto in developed countries. Also agricultural risks are considered. Agribusiness is notable for very sensitive sector towards environmental and climatic conditions. It is directly related to climate. Its main risk and problem is of natural phenomenon. The drought is particularly distinguished. There is no insurance culture for the latter. Lately, the state took initiative to make some steps in developing an insurance culture. In Europe insurance against drought and hail is enacted, and all this makes 2% of productivity. The solution for elimination of the drought problem is available just and only with the help of irrigational channels and drainage system that also demands large financial means. Question of the agricultural lending is also very important. This chapter considers the approach of private banks to agribusiness and state initiative in co-financing tasks. Question of financing on the example of the European countries is also considered. It is talked about ways of improvement and simplification of financing, as well as those barriers that were created by private banks proceeding from own regulations and policy.

This chapter also considers an overview on protection of the markets existing in the country in the conditions of market economy. Assistance with existing production in the country, strict control of quality of the imported production to the country, encouragement of local production and formation of their competitiveness in all aspects: cost, quality, quantity.

Chapter Three. "Concept and strategy of agribusiness in Georgia". Promotion of agribusiness uniquely means formation and creation of a free and perspective environment by state. The current situation in regions is very critical. Migration of the young generation from regions reached its peak. Only aged people live in the village. All this is especially reflected in the mountainous regions. Large share of the ground in mountainous region remains untilled. The state should carefully consider this issue and aim the return of live young force to regions. Development of agribusiness in regions must proceed according to priority branches. All this demands big efforts and careful planning against the background of various relief and climatic conditions of our country. Within competence of the Ministry of Regional Development only the organization of infrastructure in the village is possible. It is desirable that the Ministry of Regional Development together with the Ministry of Agriculture aim such projects which promote return of youth went to the city back to regions. This head is devoted to consideration of those results which expect the country in case of agribusiness development from the social and economic point of view.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. საბაზრო გარემოში სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების შესაძლებლობების კვლევა უაღრესად აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკის ისტორიამ არ იცის წარმოების ამ წესზე პოსტკომუნისტური ქვეყნების გადაყვანის მაგალითი.

განსაკუთრებით აქტუალურია იგი საქართველოს სინამდვილეში, რომელიც ერთიანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტერიტორიული სხეულის - საბჭოთა კავშირის - შემადგენელი ნაწილი იყო და მისი დაშლის შემდეგ აღმოჩნდა მთლიანი სხეულიდან მოწყვეტილი, რომელსაც სიცოცხლისუნარიანობა უნდა შეენარჩუნებინა დამოუკიდებლად, მისთვის უცნობი მსოფლიო ბაზრის სისტემაში, რომლის სუბიექტადაც იქცა.

შექმნილ სიტუაციაში სწორი დასკვნების გასაკეთებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მბრძანებლურ-განმანაწილებელი სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გზების ძიებას აგროსამრეწველო კომპლექსის, უპირველეს ყოვლისა კი, მისი ძირითადი დარგის - სოფლის მეურნეობის მაგალითზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს და სახალხო მეურნეობაში უკიდურესი სტაგნაციის პირობებშიც კი ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას.

დღევანდელ საქართველოში აგრობიზნესი უმთავრესია. იგი ოდითგანვე წარმოადგენს მოსახლეობის ძირითად საქმიანობას. ლათინურად „გეორგია“ – თვით სიტყვაც კი მიგვანიშნებს, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედი ქვეყანა გახლდათ. აგრობიზნესის მნიშვნელობა ოდითგანვე ყოველი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო. იგი წარმოადგენს უპირველეს დარგს მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში. თავდაპირველად იყო ბარტერი აგრო პროდუქტებით, შემდგომ წამოვიდა ეკონომიკის სხვა დარგების განვითარება როგორებიცაა: ვაჭრობა, ინდუსტრია, წარმოების სხვა სფეროები და სხვ.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული საფუძველი. ბიბლიაში (ძველი აღთქმა. დაბადება, თ. 41-ე თავი) ნათლად არის გადმოცემული იოსების

რჩევით სახელმწიფოს მიერ გატარებული შვიდწლიანი ანტიკრიზისული ქმედებები – „...ასე ქნას ფარაონმა: ზედამხედველები განაწესოს ქვეყანაში, რათა მეხუთედი ახდევინონ ეგვიპტის ქვეყანას შვიდი მოსავლიანი წლის მანძილზე, ეგვიპტის ქვეყანაში რომ დადგება, რათა ქვეყანა შიმშილით არ ამოწყდეს. მოეწონა ნათქვამი ფარაონს და ყველა მის მორჩილს“ (დაბ, თ. 41:35-37). მოსავლიანი წლების დადგომისთანავე ეგვიპტის გამგებელმა იოსებმა მეურნეობის სწორი რეგულირებისა და მარაგების შექმნის წყალობით ქვეყანა შიმშილისგან იხსნა. „შიმშილი იყო მთელი დედამიწის ზურგზე. გააღოს იოსებმა ყველა ბეღელი და დააპურა ეგვიპტელები...“ (დაბ, თ.41:56). აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების ეს მაგალითი ანტიკრიზისული გადაწყვეტილებების ერთ-ერთი უძველესი წყაროა. აგრობიზნესის პროცესების სახელმწიფო რეგულირება იმდენად აქტუალური თემაა, რომ ეს ამბავი ოდნავაც არ მოძველებულა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო თემის კვლევის მიზნად დავისახეთ აგრობიზნესის აქტუალური პრობლემების ფუნდამენტური საკითხების განხილვა. განვითარების საფეხურების ჭრილში არსებული პრობლემების გამოკვეთის და მათი აღმოფხვრის თანამედროვე პირობებში აგრობიზნესის რეგულირების სრულყოფის გზებისა და საშუალებების შემუშავება, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

აღნიშნული მიზნის განხორციელებამ მოითხოვა კონსტრუქციულად, ისტორიულ რაკურსში, ქართველი და უცხოელი ეკონომისტების შეხედულებათა შესწავლა, რომლებიც აგრობიზნესის განვითარების გზების ძიებასთან, კონკრეტული ქმედებების განხორციელებასთან, და პრობლემატიკასთან არის დაკავშირებული. სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით განვითარებული ქვეყნების აგრობიზნესის რეგულირების გამოცდილების სისტემატიზაცია, საქართველოში მისი გამოყენების საშუალებების განსაზღვრა და განხორციელება; საქართველოს აგრობიზნესის რეგულირების პროცესის ოპტიმიზაციისა და მექანიზმის ეფექტურობის ზრდისა მიმართუ-

ლებათა ძიება; სახელმწიფო აგრობიზნესის სტრატეგიის კონცეპტუალური მიდგომის შემუშავების აუცილებლობის დასაბუთება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია საქართველოში აგრობიზნესის აქტუალური პრობლემები. ასევე მოყვანილია გერმანიის მაგალითი, თუ რა რთული გზა გამოიარა II მსოფლიო ომის დროს მიწასთან გასწორებულმა ქვეყანამ, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა მსოფლიო მასშტაბით. **კვლევის ობიექტი** ასევე აგრობიზნესის რეგულირების გზებია, ხოლო **კვლევის საგანი** - საქართველოს აგრობიზნესის დღევანდელი პოლიტიკა, აგრობიზნესის დღევანდელი მდგომარეობა, მისი პრობლემატური საკითხები და ქვეყნის აგრარული პოლიტიკაა.

კვლევის მეთოდიკა. კვლევის მეთოდიკის საფუძველია: შემეცნების დიალექტიკური საშუალება; სისტემური მიდგომა; ფორმალური ლოგიკის პრინციპები; ეკონომიკური ანალიზისა და სინთეზის მეთოდები; ინდუქციური და დედუქციური შესწავლის ხერხები.

მეცნიერული სიახლე. 1) ნაშრომში ჩამოყალიბებულია აგრობიზნესის პრობლემების ძირეული არსი და მათი გადაჭრის გზების პროცედურა. მოცემულია მისი ტერმინოლოგიური განმარტებები; 2) ქართველი და უცხოელი მეცნიერების შეხედულებათა რეტროსპექტიული სისტემატიზაციის საფუძველზე დასაბუთებულია აგრობიზნესის სფეროს რეგულირების პროცესის განსაზღვრებები; 3) წარმოებისა და რეალიზაციის ცნების ახალი ინტერპრეტაცია. რეალიზაციის სტრუქტურების (მაკროდენეზე) დაფუძნების სხვადასხვა გზები, იმისათვის, რომ გლახმა უშიშრად იმოქმედოს და თამამი ნაბიჯები გადადგას თუნდაც კრედიტუნარიანობის თვალსაზრისით. მოცემულია ასევე სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების, აგრობიზნესის რესურსულ-ტექნოლოგიური პოტენციალისა და შემოსავლების სახელმწიფო რეგულირება; 4) კონკრეტიზირებულია აგრობიზნესის ბაზრის, წარმოების სახელმწიფო რეგულირების და პროცესების სისტემური თანაფარდობა; 5) შემუშავებულია სამეცნიერო-პრაქტიკული, სამართლებრივი, მეთოდოლოგიური და საორგანიზაციო ხასიათის რეკომენდაციების კომ-

პლექსი, რომელიც აგრობიზნესის სფეროს, როგორც საფინანსო რეგულირების პროცესის ეფექტურობის დახვეწისკენ არის მიმართული; 6) თეორიულად დასაბუთებულია და მაგალითებით პრაქტიკულად განმტკიცებულია აგრობიზნესის ოპტიმიზაციის ობიექტური აუცილებლობა; განსაზღვრულია საქართველოში აგრობიზნესის სისტემის სრულყოფის საშუალებები.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება. დისერტაციის პრაქტიკული დანიშნულება მთელი რიგი თეორიული მოსაზრებებისა და დასკვნების კონკრეტულ, პრაქტიკულ რეკომენდაციებამდე დაყვანით განისაზღვრება. სადისერტაციო ნაშრომში განხილული პრობლემების გადაჭრაში ჩვენი რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას: საკანონმდებლო, ნორმატიული, საპროგნოზო და საპროგრამო ხასიათის დოკუმენტების შემუშავებისას; სასოფლო-სამეურნეო პროცესების გარკვეული მიმართულებების რეფორმირებისას; სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, სალექციო ტექსტების მომზადებისას. ასევე შესაძლებელია ინტერესი კვლევით ორგანიზაციების მხრიდანაც.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაციის საერთო მოცულობაა 125 გვერდი. დისერტაციის სტრუქტურა კი დასმული ამოცანებითა და მიზნით განისაზღვრება. ნაშრომი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავისა და ათი ქვეთავისაგან. ნაშრომს ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

სოფლის მეურნეობა ნებისმიერი ქვეყნისთვის უმთავრესი დარგია. მოსახლეობის მზარდი ტენდენცია (ბოლო მონაცემებით 7 მლრდ-ზე მეტი) კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ დარგისადმი ინტერესს და მის მნიშვნელობას. მსოფლიო გლობალიზაციამ სასურსათო უსაფრთხოება მეტად მნიშვნელოვანი გახადა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებადი ქვეყნებისთვის.

საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანაა და ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია ყველა ის საკითხი, რომელიც სოფლის მეურნეობასთან

არის დაკავშირებული. საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო 90-იან წლებში ქვეყანამ ძლიერი კრიზისი განიცადა. კრიზისი შეეხო ყველა დარგს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ თავდაპირველად გარკვეული პრობლემები წარმოშვა. გატარდა მთელი რიგი ღონისძიებებისა ეკონომიკის ასაღორძინებლად, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა საინვესტიციო გარემო არასტაბილური გახადა, რამაც ერთგვარად შეაფერხა ქვეყნის წინსვლა. სწორედ სოფლის მეურნეობისთვის საჭირობოროტო საკითხებს ეხება ნაშრომი. იგი მიძღვნილია აგრობიზნესში არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზებსა და მისი განვითარების საკითხების შემუშავებაზე საქართველოში.

ნაშრომის **პირველ თავში** – „აგრობიზნესის ადგილი და როლი ეროვნული მეურნეობის ერთიან სისტემაში“ - საუბარია სოფლის-მეურნეობის ტრანსფორმაციაზე 90-იან წლებში. ეს ტრანსფორმაცია ითვალისწინებდა აგრობიზნესის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობამ უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის სურსათით უზრუნველსაყოფად, მაგრამ შემდგომ მის მიმართ გამოჩენილმა უყურადღებობამ სახელმწიფოს მხრიდან, ეს დარგი სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო. გლეხკაცისთვის საოჯახო მეურნეობა არ იყო საკმარისი ოჯახის გამოსაკვებად და იგი იძულებული გახდა წასულიყო ქალაქად სამუშაოს საძებნელად. გლეხკაცის სოფლიდან გასვლა ქვეყნისთვის დიდი დანაკარგია.

ამჟამად, ოჯახური ფერმერული მეურნეობები საქართველოში ბევრია, რომელთა მიწათსარგებლობაც მხოლოდ ოჯახური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება და არაა ორიენტირებული ბაზრზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე, რადგან მოსავალი მწირია. გარდა ამისა, მისი პროდუქცია არაა კონკურენტუნარიანი, რადგან მისი თვითღირებულება უფრო მაღალია უცხოურ მწარმოებლების პროდუქციასთან შედარებით.

მართალია, გლეხებს საკუთრებაში გადაეცათ მიწის ნაკვეთი, მაგრამ გლეხს არ გააჩნია მისი დამუშავების არც ტექნოლოგიური და არც მატერი-

ლაური საშუალება, რის გამოც ის იძულებულია მოძებნოს სხვა საარსებო ალტერნატივა.

ნაშომში შემოთავაზებულია ის გზა, რაც ხელს შეუწყობს სოფლად გარკვეული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას და გატრებული ღონისძიებები საშუალებას მისცემს გლახკაცს სოფელში დარჩეს. ამისათვის, გამოკვლეულია აგრობიზნესის განვითარების გზები და ეტაპები II მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის მაგალითზე. მოძიებულია აგრობიზნესის წილი მშპ-ში განვითარებული ქვეყნების მაგალითზე. მაგალითად, გერმანიაში აგრო-ბიზნესს წილი მშპ-ში ბოლო მონაცემებით 1,2% უკავია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აგრობიზნესი ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად რჩება. მისკენაა მიმართული მთელი რიგი სუბსიდიები, გატრებულია ყველანაირი რეგულაციები მისი დაცვისთვის და ხელშეწყობისთვის. მოცემულ თავში განიმარტება აგრობიზნესის ინტეგრაციის როლი ქვეყნის ეკონომიკაში, მასთან დაკავშირებული წინა და შემდგომი გადამამუშავებელი საწარმოების ციკლი. მისი მნიშვნელობა ინდუსტრიული თვალსაზრისით. აგრობიზნესის განვითარება განაპირობებს გადამამუშავებელი საწარმოების ხელშეწყობას თავისუფალი კონკურენციის პირობებში ნედლეულის მიღებასა და რეალიზაციის ამაღლებას აგროტექნიკის ინდუსტრიაში. სოფლის მეურნეობას მუდამ ესაჭიროება თანამედროვე ტექნოლოგიები. ყოველივე ზემოაღნიშნული, საერთო ჯამში, განაპირობებს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადობას.

ამ თავში განხილულია აგრობიზნესის რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალი საქართველოში, რომ საქართველოში აგრობიზნესის სრულფასოვანი განვითარებისა და სწორი აგრარული პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში ქვეყანას შესწევს უნარი სრულად დააკმაყოფილოს ქვეყნის შიდა მოხმარება სურსათით და გაიტანოს ექპორტზე წარმოებული პროდუქციაც კი. „ფაო“-ს მონაცემებით ქვეყანას აქვს პოტენციალი უზრუნველყოს 10-12 მლნ ადამიანის სასურსათო უსაფრთხოება.

მეორე თავი – „აგრობიზნესის პრობლემები და მათი დარეგულირების გზები“ – მოიცავს ოთხ პარაგრაფს:

1. მიწების პარცელაცია და მიწათსარგებლობის ოპტიმიზაცია;
2. აგროწარმოების ინტეგრაცია გადამამუშავებელ საწარმოებთან;
3. აგრარული რისკები. აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების პრობლემები;
4. აგრარული ბაზრის დაცვა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

თითოეული საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

მიწების პარცელაციის (გადანაწილების) საკითხში განხილულია მიწების გადანაწილების საკითხი 90-იან წლებში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა მრავალი მცირემიწიანი ფერმერული მეურნეობა.

სასოფლო სავარგულების მოსახლეობაში განაწილებამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის არა განვითარება არამედ დაკნინება. 1 კომლზე მიწის ფართობი შეადგენდა 0,2-1,25-მდე ფართს. მოცემულ ფართზე მოყვანილი მოსავალი რაღა თქმა უნდა აძლევს გლეხს იმის საშუალებას, რომ მოიყვანოს მოსავალი ფაქტიურად მხოლოდ შიდა (ოჯახური) მოხმარებისთვის და არა კომერციული დანიშნულებით. ამ ტენდენციამ ხელი შეუწყო მცირე საოჯახო მეურნეობების ჩამოყალიბებას, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ არა ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციაზე, არამედ არსებობაზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა კი შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენცია.

საერთო ჯამში, ამ თავში მიმოხილულია მიწათსარგებლობის ოპტიმიზაცია განვითარებული ქვეყნების მაგალითზე. თუ როგორ კონტროლდება მოსავლიანობა და რა შეთავაზებები და რეგულაციები არსებობს ამისთვის განვითარებულ ქვეყნებში. განხილულია, აგრეთვე, აგრორისკები. აგრობიზნესი გამოირჩევა გარემო და კლიმატური პირობების მიმართ მეტად მგრძობიარე დარგად. იგი პირდაპირ კავშირშია კლიმატთან. მისი უმთავრესი

რისკი და პრობლემა სტიქიური მოვლენებია. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა გვალვა, რომლის მიმართ არ არსებობს დაზღვევის კულტურა. ბოლო დროს სახელმწიფო ინიციატივით გადაიდგა რამდენიმე ნაბიჯი დაზღვევის კულტურის განსავითარებლად. ევროპაში სავსებით მიღებულია გვალვისა და სეტყვის შემთხვევაში დაზღვევა და ეს ყველაფერი მოსავლიანობის 2%-ს შეადგენს. გვალვის პრობლემის აღმოფხვრა მხოლოდ და მხოლოდ საირიგაციო არხებისა და სადრენაჟო სისტემების მოწყობაშია, რაც ასევე დიდ ფინანსურ სახსრებს მოითხოვს. მეტად მნიშვნელოვანია ასევე აგროდაკრედიტების საკითხი. მოცემულ თავში განხილულია კერძო ბანკების მიდგომა აგრობიზნესისადმი და სახელმწიფო ინიციატივა თანადაფინანსების საკითხებში. განხილულია ასევე ევროპის ქვეყნების მაგალითზე დაფინანსება. საუბარია დაფინანსების გაუმჯობესებისა და გამარტივების გზებზე, ასევე იმ ბარიერებზე, რომლებსაც ქმნიან კერძო ბანკები პირადი რეგულაციებიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე.

მოცემულ თავში მიმოხილულია ასევე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში არსებული ბაზრების დაცვა. ქვეყანაში არსებული წარმოების ხელშეწყობა, ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქტის ხარისხის მკაცრი კონტროლი, ადგილობრივი წარმოების წახალისება და მათი კონკურენტუნარიანად ჩამოყალიბება ყველა ასპექტში: ფასი, ხარისხი, რაოდენობა.

მესამე თავი – „აგრობიზნესის კონცეფცია და სტრატეგია საქართველოში“ – მოიცავს ისეთ საკითხებს როგორცაა: აგრობიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები; აგრობიზნესისადმი სახელმწიფოს გააქტიურება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით; აგრობიზნესის განვითარების მოსალოდნელი ეკონომიკური და სოციალური შედეგები ახლო და გრძელვადიან პერიოდში.

აგრობიზნესის ხელშეწყობა ცალსახად გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ჩამოყალიბოს და შექმნას გლეხთათვის თავისუფალი და წამახალისებელი გარემო. დღევანდელი სიტუაცია ძალზედ მძიმეა რეგიონებში, სადაც ახალგაზრდა თაობის მიგრაცია პიკს აღწევს. სოფლად

მხოლოდ ხანში შესულები ცხოვრობენ, განსაკუთრებით, მთიან რეგიონში. სახელმწიფომ უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს ეს საკითხი და მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდა ცოცხალი ძალის რეგიონებში დაბრუნება.

აგრობიზნესის განვითარება უნდა მოხდეს რეგიონებში პრიორიტეტული დარგების მიხედვით. ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი რელიეფური და კლიმატური პირობების ფონზე ეს ყველაფერი დიდ ძალისხმევას და მკაფიო დაგეგმარებას მოითხოვს.

ყოველი რეგიონი გამოირჩევა თავისებურებებითა და განვითარების სპეციფიკური კუთხით. კახეთში აგრო-ბიზნესის განვითარების პრიორიტეტად შეგვიძლია მივიჩნიოთ მევენახეობა, უპირველეს ყოვლისა, და შემდგომ – მემცენარეობა. ამ მხარეში ხშირად გვხვდება მეცხოველეობის ისეთი დარგები, როგორცაა მეძროხეობა, მეცხვარეობა და მეღორეობაც. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დარგები ფაქტიურად მთელს ქვეყანაში, მიმოვიხილავთ კონკრეტულ დარგებს.

შიდა და ქვემო ქართლი გამოირჩევა მეზღვრობითა და მებოსტნეობით. ქვემო ქართლში უფრო კარტოფილის, პამიდვრის, კიტრის და სხვადასხვა ბოსტნეულის წარმოება გვხვდება, ხოლო შიდა ქართლი კი უფრო ზღვრობით, როგორცაა ვაშლი, ბალი და სხვ.

წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება ძირითადად დედაქალაქში. გორის რაიონში მდებარე საკონსერვო ქარხანა „კულა“, რომელიც დაკავებულია ადგილობრივი მოსახლეობისგან მიღებული მოსავლის ჩაბარებით და შემდგომ გადამამუშავებით. მსგავსი ტიპის გადამამუშავებელი საწარმოა ასევე მარნეულში. იგი ახდენს, როგორც საკუთარი, ასევე მოსახლეობაში წარმოებული ბოსტნეულის ჩაბარებას. მსგავსი ტიპის საწარმოები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სოფლის მეურნეობაში.

შედარებით უფრო რთული ვითარებაა მთიან რეგიონში როგორცაა თიანეთი, შატილი და სხვ. ძირითად პრობლემას განაპირობებს ახალგაზრდობის მიგრაცია ქალაქებისკენ. სახელმწიფოს მართებს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მოცემული რეგიონის ფეხზე დასაყენებლად. სასურ-

ველია შემუშავდეს კონკრეტული პროექტები, წახალისდეს მეურნეობა, შეიქმნას სასაწყობე მეურნეობები, რომლებიც, თუნდაც, საწყის ეტაპზე არ იქნება კომერციული და განსაზღვრული იქნება მხოლოდ 1 მიზნისთვის, მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმის ჩაბარებაზე. რეგიონის განვითარება უმთავრესად სახელმწიფო პრეროგატივაა. მოსახლეობას უნდა მიეცეს სხვადასხვა სახის სუბსიდიები, თავის წვლილი უნდა შეიტანოს ტურიზმის დეპარტამენტმაც. სხვაგვარად სოფელს ხალხი არ დაუბრუნდება.

დასავლეთი, იმერეთის მხარე გამოირჩევა ცერეცოს, და სხვა სასათბურე მეურნეობებით, გურია, სამეგრელო გამოირჩევა ციტრუსის წარმოებით. რაჭა-ლეჩხუმში არსებობს ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია სვანეთი. სვანეთში განვითარებულმა მოვლენებმა 2011-2012 წლებში, კერძოდ, გზებისა და აეროპორტის მშენებლობამ, კულტურული ძეგლების რესტავრაციამ და სხვა ჩატარებულმა ღონისძიებებმა სვანეთი აქცია ტურისტულ ცენტრად. ყველას კარგად მოგვეხსენება თუ რაოდენ რთული გამოწვევების წინაშე იდგა რეგიონი. მოსახლეობა ფაქტიურად გადაშენების პირას იყო, რადგან ახალგაზრდობა ძირითადად ქალაქად იყო ჩამოსული. ამ ყველაფერმა კი, ხალხი რეგიონს დაუბრუნა და მოსახლეობამ ინვესტიციები განახორციელა სასტუმროების მშენებლობაში, გარდა ამისა, სვანეთის ბუნება მეტად მიმზიდველია.

ტურიზმის განვითარებაც მეტად მნიშვნელოვანია აგრობიზნესის განვითარების კუთხითა, რადგან ჩამოსული ტურისტი უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ აგრონაწარმს. განსაკუთრებით, ამ თვალსაზრისით, გამოირჩევიან ევროპელი ტურისტები, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს (იქნება ეს კარტოფილი, რძის ნაწარმი თუ სხვ.). სწორედ, სვანეთის მაგალითზე უნდა მოხდეს მთიანი რეგიონის განვითარება.

სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს უპირველესად თუ რა პოტენციალი გააჩნია ამა თუ იმ რეგიონს, ხოლო შემდგომ უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯი, მოცემული პოტენციალის გამოყენებისთვის. რეგიონული განვითარ-

რების სამინისტრომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული გეგმა, თუ რა ახასიათებს რეგიონს, რითია ცნობილი (იქნება ეს ციტრუსი, ბოსტნეული თუ ბაღჩეული). რეგიონის განსავითარებლად ასევე საჭიროა ლოკალური გასაღების ბაზრების ჩამოყალიბება, რათა მწარმოებელ აგრობიზნესმენს არ ქონდეს ლოგისტიკური ხარჯებზე გათვლა, რაც წარმოების ღირებულების დაახლოებით 20% შეადგენს. საწყის ეტაპზე სტარტაპის შემთხვევაში, ამა თუ იმ აგროწარმოების დაბეგვრა არ უნდა ხდებოდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად აგრობიზნესის განსავითარებლად საჭიროა სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის გააქტიურება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ეს დარგი საჭიროებს პერმანენტულ და სტაბილურ მხარდაჭერას, რადგან შეიძლება ითქვას, რომ აგრობიზნესი არის ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის ბირთვი. შესაძლოა ქვეყანა დამოკიდებული იყოს იმპორტზე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საქონლით, ვგულისხმობ ჰიგიენურ საშუალებებს და მსგავს საქონელს, მაგრამ სურსათით დამოკიდებულება იმპორტზე, ეს უკვე სასურსათო უსაფრთხოების დიდი რისკია.

რამდენადაც “ანტიმოდერნიზაციულად” უნდა ჟღერდეს, ქართულ ეკონომიკაში არსებული სურათი ქმნის იმ დასკვნის საფუძველს, რომ ცხოვრების დონის რეალური ზრდისთვის ამ ეტაპზე აგრარულ სექტორს გადამწყვეტი როლი ეკისრება. მეტიც, არსებობს იმ პროგნოზის გაკეთების საშუალებაც, რომ სწორედ აგრარულ სექტორს შეუძლია შეასრულოს ერთგვარი ლოკომოტივის როლი ქართული ეკონომიკის 20-წლიანი ეკონომიკური დრეიფის დასაძლევად. აგრარულ სექტორზე მიმართული პოლიტიკა წარმოდგენილი უნდა იქნეს ფართო გაგებით და გააზრებული კომპლექსურად, მასში უნდა აისახოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული წარმოება და სერვისები: ტექნიკით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია, ნედლეულისა და საშუალებების მიწოდება,

დასაწყობება-შეფუთვა-გადამუშავება, კვების მრეწველობა, მარკეტინგული, ფინანსური და სხვა ტიპის მომსახურებები, სოფლად და მცირე ქალაქებში გენერირებული შემოსავლების ტრანსფორმირება ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის გაფართოების წყაროდ.

ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი აქვს. გათვლები ადასტურებს, რომ შესაძლებელი დღევანდელი, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ფერმერული და აგროინდუსტრიული წარმოების ხუთჯერ გაზრდა. განვითარებული სოფლის მეურნეობა შეიძლება გადაიქცეს იმ ძრავად, რომელიც ბიძგს მისცემს ეკონომიკურ ზრდას და ინფლაციის შემცირებას (წარმოების ზრდის ხარჯზე). სოფლის მეურნეობის განვითარებას ძალზე დადებითი სოციალური შედეგებიც მოყვება. ამდენად, ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ისე სტაბილურობისთვის.

დასკვნა

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ საჭირო გახადა აგრარული რეფორმების, კერძოდ, მიწის რეფორმების განხორციელება. 1992 წელს მომხდარმა მიწის განაწილებამ ოჯახების უმეტესობას ხელი შეუწყო საკუთარი თავი გამოეკვება მათთვის მიცემული მიწის ნაკვეთებზე მოწეული მოსავლით. ხელისუფლებას კი არ სჭირდებოდა მნიშვნელოვანი ძალისხმევა და დაფინანსება ამ თვითმყოფ სასოფლო-სამეურნეო სექტორზე. ეს პოლიტიკა გაგრძელდა შემდგომ პერიოდშიც. მიწის ნაკვეთები დანაწევრდა და წარმოიშვა მცირე ფერმერული მეურნეობა. ამის შედეგად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირითადი ნაწილი არაეფექტური გამოდგა, რაც ართულებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებას.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მსხვილი მეურნეობების მცირე მიწებად დაქუცმაცება გახდა მიზეზი მისი არაეფექტურობისა ან დაბალეფექტურობისა. თუმცა, შესაძლოა, ეს საკამათო იყოს, რამდენადაც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე ზომის ფერმები შეიძლება იყოს საკმაოდ ეფექტური. მცირე ზომის მეურნეობების უფრო მაღალ ეფექტურობას მსხვილ მეურნეობებთან შედარებით განსაზღვრავს მისი ინფრასტრუქტურის გამართული მდგომარეობაც – სასოფლო-სამეურნეო მანქანების საიჯარო ბაზრის არსებობა, აგრობანკები და სხვადასხვა სახის საკრედიტო ორგანიზაციის ფუნქციონირება. თუ მსხვილი მეურნეობები დაქირავებულ შრომაზეა აქცენტირებული, შინამეურნეობებში ოჯახური შრომა უფრო იაფი ჯდება, მეტად არიან მოტივირებულნი შრომისათვის, ვიდრე დაქირავებული მუშები, არ სჭირდებათ ზედამხედველები, არა აქვთ მართვისა და ზედამხედველობის ხარჯები. ამასთან, ოჯახის თითოეული წევრი ინაწილებს რისკს, რაც არ ხდება დაქირავებული შრომის შემთხვევაში. ეს უპირატესობები არ იქნა გამოყენებული საქართველოში, რამდენადაც სოფლის მეურნეობის განვითარება არ იყო უზრუნველყოფილი ყველა იმ პირობით, რომელიც გაზრდიდა მის მწარმოებლურობას და ეფექტურს გახდიდა მცირე მეწარმეობას.

ყოველივე ამის შედეგად, შინამეურნეობების უმეტესი ნაწილი ორიენტირებული გახდა თვითუზრუნველყოფაზე და, მთლიანად, ახასიათებდა მე-ტად დაბალი სასაქონლო წარმოების დონე. ამის საილუსტრაციოდ, 2004 წლის 3350 შინამეურნეობის შერჩევითი დაკვირვების მონაცემებით, სოფლის შინამეურნეობის ყოველთვიურ საშუალო შემოსავლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან შემოსული წილი შედგენდა მხოლოდ 20%-ს.

სოფლის მეურნეობის განუვითარებლობის შედეგად 1990-2003 წლებში სოფლის მოსახლეობა შემცირდა 14%-ით. ამასთან, ეკონომიკის სხვა დარგებში კრიზისული ვითარებისა და სიღარიბის ზრდასთან ერთად 90-იან წლების პირველ ნახევარში გაიზარდა დასაქმებულთა წილი სოფლის

მეურნეობაში. უმუშევრობის თავიდან ასაცილებლად ქალაქის მრავალი მაცხოვრებელი დაუბრუნდა თავის მამაპაპეულ მიწას, მაგრამ მათ არ გაუწყვეტიათ კავშირი ქალაქთანაც. წარმოიშვა ე. წ. “ორმისამართიანი მოსახლეობა”. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, თუ 1990 წელს მთლიანად დასაქმებულებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი შეადგენდა 25,2%-ს, 1995 წელს – 30,6%-ს, მომდევნო წლებში ადგილი ჰქონდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა აბსოლუტური მატების ტენდენციას, რის შედეგად მისმა წილმა მთლიან დასაქმებაში 2003 წ. შეადგინა 54,9%; ამდენად, სოფლის მოსახლეობას საყოველთაო და უნივერსალური ხელმისაწვდომობა ჰქონდა მიწაზე, რის გა-მოც, მან შეძლო უზარმაზარი სამუშაო ძალის მიზიდვა, რომელიც ქალაქებიდან იყო გამოთავისუფლებული. სოფლის ეკონომიკამ 90-იან წლებში ერთგვარი უსაფრთხოების ქსელის როლი ითამაშა და გადამწყვეტი სექტორი გახდა მოსახლეობის საკუთარი პროდუქციით უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოში მოსახლეობის 60-70%-ის საარსებო პირობები სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული. მოძველებული სავაჭრო ურთიერთობების რღვევის, გეოგრაფიული იზოლაციისა და ინფრასტრუქტურის მოშლის შედეგად წარმოიშვა სოფლის უმთავრესი პრობლემები. შინამეურნეობების უმრავლესობას ჯერ კიდევ ბაზარზე შეღწევის ბარიერები აქვს. ეს დაბრკოლებანი და შეზღუდვები განსაკუთრებით სავალალოა ღარიბებისათვის. გეოგრაფიულად იზოლირებულ საკმაოდ დიდი რაოდენობის მოსახლეობას გააჩნია ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციის მცირე შესაძლებლობები. ჯერ კიდევ არსებობენ სოფლად მცხოვრები ოჯახები, რომლებიც არასდროს გასულან ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაყიდად.

90-იანი კრიზისის წლებში, ქალაქისაგან განსხვავებით, სოფლად ადგილი არ ჰქონდა უმუშევრობას და გააჩნდა ხალხის დასაქმების მაღალი შესაძლებლობა. ამ წლებში დასაქმების სეგმენტებს შორის მას დომინანტური ადგილი ეკავა. მაგრამ, იმის გამო, რომ სოფლად დაბალი იყო

შრომის მწარმოებლურობა და ოჯახების უმრავლესობას გააჩნდა მცირე მიწის ნაკვეთები (1.0 ჰა-ზე ნაკლები), არ მიუწვდებოდათ ხელი კრედიტებზე წარმოების გასაფართოებლად, სახელმწიფო კი, კვლავ, მხოლოდ მიწების პრივატიზებას მიმართავდა დეკაპიტალიზაციის მიზნით, სოფლიდან დაიწყო ინტენსიური მიგრაციის პროცესები. მიგრაცია, უმთავრესად, შეინიშნებოდა ახალგაზრდა მოსახლეობაში. ამის შედეგად, დამუშავებელი მიწის ფართობები სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. სოფლის მეურნეობის რეცესიულმა მდგომარეობამ, რაც 90-იან წლებში დაიწყო და პერმანენტული ხასიათი მიიღო.

2004 წლის შემდგომ ქართულ სოფლის მეურნეობაში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, ჩამოყალიბდა სექტორში წარმოების შემცირების მკაფიო ტენდენცია. ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური რეფორმების გატარებას სოფლის მეურნეობის სექტორზე აქცენტის გარეშე გულისხმობდა, უშედეგო აღმოჩნდა. მიუხედავად დიდი პოტენციალისა, საქართველოს სურსათით მომარაგებასა და სოფლის მეურნეობაში, შენარჩუნდა და კიდევ უფრო გამწვავდა მრავალი პრობლემა და გამოწვევა, მათ შორის: დეკაპიტალიზაცია, კრედიტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მცირე ზომის სასოფლო შინა-მეურნეობების (ძირითადად, გლეხური მეურნეობები) მაღალი ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის მთლიან წარმოებაში, მათი სასაქონლო წარმოების დაბალი დონე, დაბალი ტექნიკური შეიარაღება, დაბალი პროდუქტიულობა, უპირატესად თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირება და მათი განვითარების ხელშემწყობი პირობების არარსებობა, ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო კვლევის/განათლების/კონსულტირების სისტემის არარსებობა, ფერმერების გაერთიანებისა და საერთო პრობლემების ერთობლივად გადაჭრის სურვილისა თუ შესაძლებლობის არქონა და სხვ. აგრარული სექტორის მდგომარეობაზე დამატებით ნეგატიური ზეგავლენა იქონია რუსეთის ემბარგო ქართულ საექსპორტო აგრარულ პროდუქციაზე და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა.

ისტორიულად ქვეყნების უმრავლესობამ გაიარა პროცესი აგრარული სექტორის განვითარებისა, შემდგომ ინდუსტრიული განვითარებისა და ურბანიზაციისა და სწორედ ამ რეალური სექტორების განვითარებამ შექმნა ფუნდამენტი მომსახურების სექტორის გაფართოებისთვის, მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიისთვის და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდისთვის. საქართველოს ეკონომიკა 1990-იანი წლების დასაწყისისთვის აღმოჩნდა სიტუაციაში, როდესაც სახეზე იყო საბჭოთა დეგრადირებული ეკონომიკური სისტემის დაშლილი სტრუქტურა. 2004 წლიდან, როდესაც ახალი ხელისუფლების მიერ დეკლარირებული მოდერნიზაციის პოლიტიკა, პრაქტიკულად, წარმოდგენილ იქნა ფინანსური, ვაჭრობის და მომსახურების (სატრანსპორტო სფერო, ტურიზმი, ლოგისტიკა და ა.შ.) სექტორების განვითარების სახით, მეტიც, სწორედ ეს სექტორები წარმოჩინდებოდა ხელისუფლების მიერ მოდერნიზაციის მანიშნებლად. გატარებული პოლიტიკა წარმატებული ვერ აღმოჩნდა ვერც ეკონომიკური და ვერც სოციალური თვალსაზრისით, რადგან: 1. მან არ გაითვალისწინა ის რეალობა, რომ საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნახევრის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები უშუალოდ უკავშირდება აგრარულ სექტორს; 2. არც ინდუსტრიული სექტორის განვითარება მოხვდა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის მკაფიო პრიორიტეტებში, რამაც მის მიერვე დასმული მოდერნიზაცია-ურბანიზაციის დღის წესრიგის რეალიზაცია შეუძლებელი გახადა. ამასთანავე, აგრარული სექტორის ჩავარდნის გამო, ვერ იქნა გამოყენებული ის პოტენციალი, რომელიც არსებობს რეგიონებში აგრარულ სექტორთან დაკავშირებული ინდუსტრიების, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების და კვების მრეწველობის მიმართულებით; 3. ის სექტორები, რომლებიც არსებული ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში შედარებით ვითარდებოდა – ფინანსური სექტორი, ვაჭრობისა და მომსახურების სექტორები – არ იყო უშუალო კავშირში ქვეყნის რეალურ სექტორთან. ვაჭრობა შიდა აგრარული და ინდუსტრიული წარმოების

განუვითარებლობის პირობებში გაფართოვდა იმპორტირებული პროდუქციით ვაჭრობის ხარჯზე. ტურიზმზე აქცენტირება უშუალო კავშირში არ აღმოჩნდა აგრარულ სექტორთან, ამ სექტორის ჩავარდნის გამო. ტურიზმმა კი იმპორტის ზრდაზე უფრო იქონია ზეგავლენა, ვიდრე შიდა რეალური სექტორის განვითარებაზე. სატრანსპორტო-ლოგისტიკური სექტორი უშუალოდ ორიენტირებული იყო საქართველოს ტრანზიტულ ფუნქციაზე, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანია, მაგრამ ხელისუფლების ის ვარაუდი, რომ ინფრასტრუქტურის განვითარება უშუალოდ ქვეყნის შიგნით ეკონომიკურ გააქტიურებაზე და წარმოების ზრდაზე აისახებოდა, არ გამართლდა. ინფრასტრუქტურა ვერ განვითარდა ვერც საქართველოს რეგიონებში. აქაც მიზეზი უნდა ვეძებოთ ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარებისა და რეალურ სექტორთან დაკავშირებული კომპლექსური პოლიტიკის არარსებობაში.

ყოველივე აღნიშნული გამოიხატა იმაში, რომ არსებული ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში ვერანაირად ვერ იქნა დაძლეული უმუშევრობის პრობლემა, დასაქმებულთა (განსაკუთრებით რეგიონებში და ძირითადად თვითდასაქმებულთა) შემოსავლების ზრდის პრობლემა, ცხოვრების დონის და რეგიონების მწვავე სოციალური კრიზისიდან გამოყვანის პრობლემა.

რამდენადაც “ანტიმოდერნიზაციულად”.¹ უნდა ჟღერდეს, ქართულ ეკონომიკაში არსებული სურათი ქმნის იმ დასკვნის საფუძველს, რომ ცხოვრების დონის რეალური ზრდისთვის ამ ეტაპზე აგრარულ სექტორს გადამწყვეტი როლი ეკისრება. მეტიც, არსებობს იმ პროგნოზის გაკეთების საშუალებაც, რომ სწორედ აგრარულ სექტორს შეუძლია შეასრულოს ერთგვარი ლოკომოტივის როლი ქართული ეკონომიკის 20-წლიანი ეკონომიკური დრეიფის დასაძლევად. აგრარულ სექტორზე მიმართული პოლიტიკა წარმოდგენილი უნდა იქნეს ფართო გაგებით და გააზრებული კომპლექსურად, მასში უნდა აისახოს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან

¹ კოლუაშვილი პ. ზიზიბაძე გ. - სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თსუ, II გამოცემა, თბ. - 2010

დაკავშირებული წარმოება და სერვისები: ტექნიკით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია, ნედლეულისა და საშუალებების მიწოდება, დასაწყობება-შეფუთვა-გადამუშავება, კვების მრეწველობა, მარკეტინგული, ფინანსური და სხვა ტიპის მომსახურებები, სოფლად და მცირე ქალაქებში გენერირებული შემოსავლების ტრანსფორმირება ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის გაფართოების წყაროდ.

იმისათვის, რომ უკეთ შევაფასოთ ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული აგრობიზნესი, სასურველია, გავიხსენოთ თუ რა ვითარებაში იმყოფებოდა იგი 90-იან წლებში და რა კონკრეტული ნაბიჯები იქნა გადადგმული მას შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან.

მიუხედავად არსებული მძიმე სიტუაციისა აგრობიზნესში, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი საკითხები როგორცაა დაკრედიტება ასე თუ ისე დარეგულირების გზაზეა და, მეტიც, ჩემი პირადი პრაქტიკიდან გამომდინარე, მინდა აღვნიშნო, რომ ბანკები იხვეწებიან აგროკრედიტების დაფინანსებას. იყო დრო, როდესაც ბანკები მკაცრად ერიდებოდნენ და, ასევე, არც ქონდათ პროდუქტი „აგრო კრედიტი“ შემუშავებული, რადგან არასტაბილურ და არარენტაბელურ სექტორად მიაჩნდათ, მაგრამ დღეისათვის ვითარება რადიკალურად შეცვლილია. კერძო ბანკების გააქტიურება კი აგრობიზნესის პროდუქტიულობაზეც აისახა.

არ შეგვიძლია არ შევხვით, ასევე, ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ტექნიკური მხარე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ტრანსფორმაციის პროცესში თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არ არსებობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. 2008 წელს გერმანიაში სამაგისტრო კურსის გავლისას მომიწია საქართველოზე აგროტექნიკის პრეზენტაციის ჩატარება. პრეზენტაციიდან ნათლად ჩანდა, რომ ქვეყანა განიცდიდა აგროტექნიკის არ ყოლას. მაშინდელი მოძიებული ინფორმაციით ქვეყნად დარეგისტრირებული იყო 0,2 ათასი კომპანიი.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად წინა ხელისუფლებამ მოადინა ძვირადღირებული ახალი ტექნიკის იმპორტი და დააარსა ე.წ.

ტრაქტორ-პარკები. ეს ქმედება, რაღა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში, რადგან აღნიშნული ტექნიკა დროთა განმავლობაში, ბუნებრივია, განიცდის ცვეთას, როგორც რესურსული ასევე ხანდაზმულობის თვალსაზრისით. მოძველებული ტექნიკა საჭიროებს ხშირ შეკეთებას. მოცემული ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შეძენა უნდა მოხდეს მწარმოებელ ქვეყნებში, რაც, ფაქტიურად, ქართული კაპიტალის გადინებას მიუთითებს.

ბევრად გამართლებულად მივიჩნევდი ინვესტორი კომპანიის დაინტერესებას საქართველოში ტექნიკის ინდუსტრიის დაარსების მიზნით. მოხდებოდა ქართული ბრენდის ტექნიკის გავრცელება ბაზარზე და მისი სათადარიგო ნაწილების მიღებაც იქნებოდა დროშიც და თანხაშიც ოპტიმალური. ჩვენის აზრით მოცემული ქმედება ბევრად გამართლებული იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან გრძელვადიან პერსპექტივაში.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი:

- 1) „აგრობიზნესის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის აქტუალური პრობლემები საქართველოში“; თარიღი: 11/02/2014
- 2) „აგრობიზნესის პრობლემები და მათი დარეგულირების გზები“; თარიღი: 06/07/2014
- 3) „აგრობიზნესის კონცეფცია და სტრატეგია საქართველოში“; თარიღი: 17/02/2015

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ რეფერირებად ჟურნალებში:

1. “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოებრივი აუცილებლობაა”, ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“ N11-12 2016 წელი გვ. 132–140
2. კლიმატის ცვლილების გავლენა მარცვლეული კულტურების მოსავალზე კახეთის პირობებში, საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებული „მომბე N1(35) 2016 წელი გვ.133–136
3. “აგრარული რისკები. აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების პრობლემები”, ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“ N1 2017 წელი. გვ. 153-160

4. „აგრობიზნესის კავშირი ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან და მათი ინტეგრაციის მნიშვნელობა მაკროეკონომიკური თვალსაზრისით“, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური-ეკონომიკა“ XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები N4-5; 2016 წელი; გვ. 28-30
5. „აგრობიზნესის რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალი საქართველოში“, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური-ეკონომიკა“. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები N4-5; 2016 წელი; გვ. 42-45

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

1. 2014 წლის 2-3-4 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“; გვ. 124-128